პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

№35 (6100)

1978 წ. 18 თებერვალი შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

XXXI ოლიმპიური მოძრაობა

1978 წლის 17 თებერვალი. საქართველოს ფილარმონიის დიდი დარბაზი. საქართველოს ალკა XXXI ყრილობამ მუშაობა დაიწყო.

(საინფორმის ფოტოქრონიკა).



მუშაობა დაიწყო საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობამ

სიჭაბუკისა და შემართების, დაუცხრომელი ძიებისა და შემოქმედების, დიდ და სასახელო საქმეთა აღსრულების სიმბოლოდ იქცა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი. მისი ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია საქართველოს კომკავშირი, რომელიც უკვდავი დიდების შარავანდედით შეიმოსა. ყველგან, სადაც ჭირდა, სადაც იყო ჭაბუკური სიხალისე, მხნეობა და გამძლეობა, პარტიისა და ხალხის საქმის ერთგულება, ღონიერი ხელი და უშიშარი გული, იქ იყვნენ საქართველოს კომკავშირის ვაჟკაცი წარმომადგენლები. და ახლა, როცა რესპუბლიკა ყოველწლიურად სულ ახალ და ახალ წარმატებებს აღწევს ცხოვრების ყველა სფეროში, და წარმატებით წყვეტს სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, საქართველოს კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები სახელოვან საქმეთა ავანგარდში არიან.

მათი საუკეთესო წარმომადგენლები შეიკრიბნენ 17 თებერვალს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში, სადაც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობა გაიხსნა.

საზეიმო მარშის ხმებში დარბაზში შემოაქვთ საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წითელი დროშა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო დროშები.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. ბილაშვილი, ა. ინაური, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ვ. შარტავა, ო. ჩერკეზია, ს. ხაბეიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ო. კულიშევი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. დერეპიანკო, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სეკრეტარის გამგე ა. ელისეევი.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობას ესწრებიან კომკავშირულ ორგანიზაციათა დელეგატები: აზერბაიჯანისა — აზერბაიჯანის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. გუსეინოვის მეთაურობით, სომხეთისა — სომხეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. კო

გესაუბრებით საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატზე

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ

საბედნიეროდ, ჩვენს სპორტს არასდროს მოჰკლებია ენთუზიასტები. ზაურ ციხისელიც ენთუზიასტია, თანაც „გამოუსწორებელი" ენთუზიასტი. ონის საშუალო სკოლაში ქიმიას ასწავლის და კარგადაც, მაგრამ ჭიდაობის ტრფიალს რომ იტყვიან, ნამდვილად ის არის. ამ კაცს შესაშური ალღო აქვს, იტყვის, ამა და ამ ჯელისგან კარგი მოჭიდავე დადგებაო და წინასწარმეტყველება ძნელად თუ უმტყუნებს. თუ კერკეტ ბიჭს დალანდავს და თვალში მოუვა, მოიხმობს, რჩევას მისცემს, პირველ „გაკვეთილებს" თვითონვე ჩაუტარებს და გზას დაულოცავს...

ავთანდილ მაისურაძე თავისი აღნაგობით ტოლბიჭებში აშკარად გამორჩეული იყო და, აბა, ეს როგორ გამოეპარებოდა ზაურ ციხისელს:

— ბიჭო, ავთო, დედა-ბუნებას შენთვის ჰერკულესის ძალღონე მოუმადლებია და სხვა თუ არაფერი, დიდი ცოდვა იქნება შენი სახელოვანი მოგვარეს გზას არ გაჰყვე, გახსოვდეს, ჭიდაობაა შენი მოწოდება!

კოსტა მაისურაძეზე მაშინ ლეგენდები დადიოდა. ავთანდილსაც ბევრჯერ მოუსმენია სახელოვანი ფალავნის საგმირო საქმეებზე, ბევრჯერ უოცნებია კიდეც ცნობილი მოჭიდავე გამხდარიყო, მაგრამ გულისნადების გაცხადება ერიდებოდა.

ქიმიის მასწავლებლის ალერსიანი სიტყვები მალამოდ მოედო ავთანდილის ფიქრებს. ფრთები, სწორედ რომ ფრთები შეასხა მის ოცნებას და მერე არც შეყოყმანებულა საბოლოო არჩევანზე. ჭაბუკის გულში დაბუდებულ რწმენას თანაგრძნობა სჭირდებოდა და მიიღო კიდეც.

16 წლისა მოვიდა ავთანდილი ჭიდაობაში. ამ ასაკის ბიჭებს მწვრთნელები უკვე ეშვის თვალით უყურებენ, ვაი თუ დაგვიანებულიაო. მაგრამ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ელადიმერ მაისურაძე ოდნავადაც არ დაეჭვებულა, როცა მაღალმთიან რაჭაში გაზრდილი ჭაბუკი თავის ჯგუფში ჩარიცხა.

კარგია, როცა ადამიანს სჯერა გადადგმული ნაბიჯისა, საკუთარი ძალისა და შესაძლებლობისა, მაშინ ათკეცდება ხვალინდელი დღის იმედი. შრომასაც მეტი ფასი აქვს, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ დღეს დაღვრილი ოფლი ხვალ სიხარულად გადაგექცევა.

ბევრი ოფლი დაღვარეს ერთად ვლადიმერმა და ავთანდილმა, მწვრთნელმა და შეგირდმა, ბევრი საჭიდაო ჩოხა და ლები გაცვდა. დღევანდელ სპორტულ სამყაროში ერთობ ძვირი ჯდება ყოველი ქულა, ყოველი მედალი. ისეთ მოჭიდავესაც კი, რომელსაც პროვინციული ქალაქის ჩემპიონის პრეტენზია აქვს, მოეთხოვება ყოველდღე რამდენიმე საათი ივარჯიშოს, რათა სული და სხეული ახალ დატვირთვებს მიაჩვიოს. ავთანდილ მაისურაძე კი უფრო დიდი სიმაღლეების დასალაშქრავად ემზადებოდა, მოთმინებითა და რწმენით მიუყვებოდა აღმართს.

პირველი წარმატება ოთხი წლის შემდეგ მოვიდა. ოთხი წლის შემდეგ დაუფასდა ის ერთგულება და სიყვარული, ჭიდაობისათვის რომ არ იშურებდა: ოცი წლის ჭაბუკი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის. იმავე 1975 წელს თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეს მოხდა 1976 წელს.

ამბობენ, ჩემპიონობის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნებაო. ავთანდილსაც გაუჭირდა როსტოვში მოპოვებული ტიტულის დაცვა, შარშან, თბილისში გამართულ საბჭოთა კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონატზე ფინალურ შერკინებაში გამარჯვების სასწორი მოწინააღმდეგის მხარეს გადაიხარა.

იგი საერთოდ მტკივნეულად განიცდის ყოველ მარცხს, მაგრამ ამ წარუმატებლობას (თუ ამას შეიძლება წარუმატებლობა ეწოდოს) დიდად არ დაუღონებია, ბოლოსდაბოლოს ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ფალავნის სახელი ხომ მისივე მეგობარსა და თანამემამულეს შოთა მორჩილაძეს გადაულოცა.

მართალია, ავთანდილ მაისურაძე ცხოვრებაში ჩუმი და მოკრძალებულია, ზოგჯერ ზედმეტად თავაზიანი და მორჩილიც, მაგრამ სულ სხვაა ხალიჩაზე — სპორტული აზარტით შეპყრობილი, ფიცხი და უკომპრომისო. იგი როდი ეპუება მოწინააღმდეგის მყვირალა ტიტულებს, კეთილსინდისიერად იბრძვის გამარჯვებისთვის და თუ ზოგჯერ მაინც დამარცხებული სტოვებს სარბიელს, საკუთარი თავისა და გულშემატკივრების წინაშე მუდამ ვალმოხდილია.

სპორტული დიდებისკენ მიმავალი გზა იავარდებით მოფენილი როდია. ამ გზაზე სიარულს სიხარულთან ერთად თან ახლავს უამრავი პროფესიის ადამიანისთვის დროერთად ძალიან ეფექტიანი ეფექტია. სპორტსმენს ამ მხრივ ალბათ ყველაზე უფრო უჭირს: ვარჯიშები, შეკრებები, შეჯიბრებებზე მოგზაურობები და... სწავლა. მჯაღრად უნდა განსაზღვრო ყოველი საათი, ყოველი წუთი. ავთანდილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის სტუდენტია და კარგად იცის დროის ფასი. მართალია, ზოგჯერ უჭირს კიდეც, მაგრამ აქ პროფესორ-მასწავლებლები ეხმარებიან — დამატებით კონსულტაციებს და სესიების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკს უნიშნავენ.

ავთანდილ მაისურაძემ წლევანდელი სპორტული სეზონი გამარჯვებით დაიწყო. მსოფლიოს უძლიერეს „კლასიკოსებთან" ჭიდილში შვეიცარის ქალაქ კლიპანის დიდი საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი გახდა. ხუთჯერ გამოვიდა ხალიჩაზე, ოთხი შეხვედრა ვადაზე ადრე დაამთავრა, ერთიც ქულებით მოიგო. შვეიციიდან ოქროს მედლით დაბრუნებულმა მჭობლიურ თბილისში შეიტყო, რომ დიდი ნდობა გამოუცხადეს — საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

ნდობას გამართლება უნდა. წინ ახალი სტარტები. ახალი ჩემპიონატები. კომკავშირელთა ამ დიდი ფორუმის შემდეგ, მარტის პირველ რიცხვებში ავთანდილ მაისურაძე მინსკში პოდიუმების სახელობის ტრადიციულ ტურნირში გამოვა. შემდეგ კი ალბათ, ევროპის ჩემპიონატში მოუწევს ძალების მოსინჯვა. მაგრამ მისი მიზანთა მიზანი მაინც მოსკოვის ოლიმპიური თამაშებია. საქმეში ჩახედული სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ამ ჭაბუკს ჯერ არ უთქვამს თავისი სიტყვა და მართლაც, იგი ხომ 23 წლისაა.

ე. ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ქᲐᲚᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ— ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელშიც განიხილა რესპუბლიკაში ქალთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა. ითქვა, რომ ქალთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს; მთელ რიგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და უწყებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებსა თუ სხვა დაწესებულებებში საჭირო ყურადღება არ ექცევა ქალთა კონტინგენტის მასობრივად ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში; თითქმის მივიწყებულია ყოველგვარი გამაჯანსაღებელი მუშაობა ქალთა შორის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, სუსტადაა დაინერგილი მშდ კომპლექსი. ყოველივე ამის შედეგია, რომ 1973 წელთან შედარებით 1976 წლისთვის რესპუბლიკაში ფიზკულტურელ ქალთა რიცხვი 42.548-ით შემცირდა. მასობრიობაში უკუსვლამ სპორტული ოსტატობის დონეზეც იმოქმედა. უკანასკნელ წლებში ჩვენი სპორტსმენი ქალები საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე მოკრძალებულ შედეგებს სჯერდებიან (ამას მხოლოდ მოჭადრაკე ქალებზე ვერ ვიტყვით). თუ 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში ოთხი ქართველი ქალი (ნ. დუმბაძე, ე. გოკიელი, მ. ჯუღელი და ნ. დვალიშვილი) მონაწილეობდა, მომდევნო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენ ქალთა რაოდენობა თანდათან შემცირდა, 1976 წელს კი მონრეალში საქართველოდან არც ერთ ქალს არ უასპარეზია. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ქართველ ქალთა გამარჯვება იშვიათობად იქცა, მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები კალათბურთელებმა, ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რეზერვების მხრივაც: II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენმა გოგონებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

კოლეგიაზე იმსჯელეს რესპუბლიკაში ნიჭიერებისობის განვითარების მდგომარეობისა და სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის ნაკრები კოლექტივის მზადების, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებთან მუშაობის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ.

მოისმინეს ინფორმაციები თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის XVII საერთაშორისო ტურნირისა და დარბაზებში ჩატარებულ მძლეოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგების შესახებ.

კოლეგიამ საქართველოს სპორტკომიტეტის სასროლო სპორტის განყოფილების გამგედ დაამტკიცა თ. ლეკიშვილი, ხოლო სპორტთამაშების განყოფილების უფროს მწვრთნელად — ვ. მურადოვი. მაიაკოვსკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ვ. მელაშვილი, ახალქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ — მ. კირაკოსიანი.

კოლეგიამ აღნიშნულ და სხვა საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

IX ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

საშშამათს ბად-კისინგენში (გფრ) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მ. ჩიბურდანიძე — ბ. კუშნირის ფინალური მატჩის IX პარტია დაუმთავრებელი დარჩა. იგი გადაიდო ასეთ პოზიციაში:

ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ



ᲙᲣᲨᲜᲘᲠᲘ

ეს მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც თეთრებისთვის უკეთესი. მათ ზედმეტი პაიკი და ორი კუს უპირატესობა აქვთ.

ოთხშაბათს, თამაშის განახლებისას კუშნირმა უძლიერესი გაგრძელება აირჩია, მაგრამ ჩიბურდანიძემ წინააღმდეგობის მარჯვე შანსს მიაკვლია. მან საიმედოდ დაიცვა c5 პაიკი. კუშნირს გაუძნელდა უპირატესობის რეალიზება. ჩიბურდანიძის 50-ე სვლის შემდეგ მოგება ალბათ უკვე აღარ შეიძლებოდა. ამიტომ კუშნირმა უკან დაბრუნა ზედმეტი პაიკი და ყაიმს დასჯერდა.

აი, როგორ გაგრძელდა თამაში: 41. e4+ (ჩაწერილი სვლა) 41. ... მფg5 42. e5 კd8 43. ეc8 (უკეთესი იყო 43. ედ6 ეa8 44. ედ5 ეc8 45. e6+) 43. ... კb6 44. მფc2 მფf5 45. ეb8 ეa6! 46. ეb7 მფe6 47. მფd3 კd8 48. ეb8 ეe7 49. ეg8 ეa3+ 50. მფc2 f5! 51. ეg6+ (თუ 51. ef კ:f6 52. ე:g4, მაშინ 52. .., ეc3+ 53. მფd2 კd4 პაიკის უკან დაბრუნებით) 51. ... მფf7 52. ეc6 ეa2+ 53. მფb3 ეe2 54. e6+ მფg6 55. მფc3 ეe4 56. კb8 ეe2 57. ეg3 ეe4 58. f3 gf 59. gf ეe3+ 60. მფd2 ე:f3 61. ეe5 f4 ყაიმი.

X ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ხუთშაბათს მეტოქეებმა X პარტია გაითამაშეს.

კუშნირმა ორიგინალურად განავითარა ფიგურები. ჩიბურდანიძეს ბუნებრივად, მაგრამ უეცრად მიჰყავდა თამაში. ამიტომ კუშნირმა ადვილად დაასრულა ფიგურების მობილიზება, მე-13 სვლით ინიციატივისთვის ბრძოლაც კი დაიწყო. სწორედ ამ მომენტში ჩიბურდანიძემ სტრატეგიული შეცდომა დაუშვა — მან e პაიკის წინსვლით დიდი დიაგონალი გაუხსნა შავ კუს, რომელიც ერთბაშად გავლენიან ფიგურად იქცა. კუშნირმა იერიშიც წამოიწყო. ჩიბურდანიძე იძულებული გახდა ენდშპილში გადასვლით გაეხლეჩინა მეტოქის მუქარა. გაიცვალა ლაზიერები.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ვილნიუსში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ახალგაზრდა ოსტატთა შორის. ტურნირში 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჩელიაბინსკელმა ინჟინერმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. პანჩენკომ — 10,5 ქულა. ეს პანჩენკოს პირველი წარმატება როდია. ადრე მას გაუმარჯვნია საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ჩემპიონატში, საერთაშორისო ტურნირებში.

II-III ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ა. ივანოვმა (მოსკოვის ოლქი), ს. დოლმატოვმა (მოსკოვი) და ვ. გავრიკოვმა (დაბა კრიულიანი, მოლდავეთი) — 9,5,-9,5.

●

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲑᲘ

გორში მიმდინარეობს საქართველოს ჭაღთა პირველობის ერთ-ერთი ნახევარფინალი.

9 ტურის შემდეგ ფინალის ორი საგზურისთვის ბრძოლაში დაწინაურდნენ: ნ. ტერაშვილი (რუსთავი) — 8,5 ქულა, დ. ჩაჩიბაია (თბილისი) — 7,5, რ. ლომიძე (გარდაბანი) — 7, ი. ანაშეროვი (ხაშური) — 6, ი. სიფრაშვილი (სიღნაღი) — 5,5, გ. მუკნიაშვილი (გორი) — 5 (2).

სათამაშო დარჩა 6 ტური.

●

ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ

ახალციხეში დამთავრდა საქართველოს ქალთა პირველობის ერთადერთი ნახევარფინალი, რომელშიც 10 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა ოსტატობის კანდიდატმა თ. მესხმა (ქუთაისი) — 8 ქულა, II — ოსტატობის კანდიდატმა ც. ქასუმოვილმა (გორი) — 7, III — პირველთანრიგოსანმა ნ. გოგიაშ (ცხაკაია) — 6,5.

სამივე მოჭადრაკემ მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება. ფინალი გაიმართება ქუთაისში 6-31 მაისს.

სურათზე თამილა მესხი.
ს. გაბუნიას ფოტო.

ᲤᲔᲠᲔᲜᲒᲣᲠᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲡᲐ და ვოროშილოვგრადში გრძელდება უმაღლესი ლიგის ფრენბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. ლენინგრადში მატჩები ასე დამთავრდა: „ნეფთჩი" (ბაკო) — ცსკა 0:3, „ურალოჩკა" (სვერდლოვსკი) — „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) 3:2, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „ავროორა" (რიგა) 3:2, ცსკა — „ურალოჩკა" 0:3, „ავროორა" — „ნეფთჩი" 0:3, „კიროვეცი" — „სპარტაკი" 0:3; ვოროშილოვგრადში მატჩები ასე დასრულდა: სკიფი (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:3, „ისკრა" (ვოროშილოვგრადი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:0, „ავტომობილისტი" (ტაშკენტი) — მოპი (მოსკოვის ოლქი) 3:1, „ლოკომოტივი" — სკიფი 2:3, „დინამო" — „ავტომობილისტი" 2:3.



თბილისში ამხანაგური მატჩების გასამართავად ჩამოვიდა იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანის ფეხბურთელთა გუნდი „ოლიმპია“. გუშინ სასტუმრო აეროპორტში მოეწყო პრესკონფერენცია. დედაქალაქის სპორტული საზოგადოება, პრესის მუშაკები ესაუბრნენ „ოლიმპიის“ წარმომადგენლებს. საუბარში მონაწილეობდა თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ალმზრდელობით დარგში კ. ასათიანი.

გამოითქვა იმედი, რომ ლიუბლიანას და თბილისს შორის სპორტული დელეგაციების გაცვლა მომავალშიც გაგრძელდება, რაც, რაღა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ამ ორი დაძმობილებული ქალაქის კიდევ უფრო დაახლოებას. დღეს ჩვენი სტუმრები პირველ მატჩს ითამაშებენ თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდთან.

• • •

სურათებზე: „ოლიმპიას“ სპორტული დელეგაცია თბილისის აეროპორტში; გუშინ დილით სტუმრებმა ჩაატარეს წვრთნა. ვარჯიშის მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ფეხბურთი

როგორც კი გამოცხადდა წილისყრის შედეგები, ექსპერტებს შორის დიდი დავა არ ყოფილა. ისინი მყისვე შეთანხმდნენ, რომ ყველაზე მძაფრი ბრძოლა პირველ ჯგუფშია მოსალოდნელი. და მართლაც, სხვა ჯგუფებში შეიძლება რომელიმე შედარებით სუსტი გუნდის გამოყოფა, პირველში კი ასეთი არ არის. ოთხივე გუნდის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ წილისყრისას ბედმა არ გაუღიმა, მაგრამ, რა თქმა უნდა, იბრძოლებს შეჯიბრების დასკვნით ეტაპზე გასვლისთვის. საყურადღებო იყო საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ მიშელ იდალგოს განცხადება: „არგენტინის ნაკრებს ერთი აშკარა უპირატესობა აქვს — შინ თამაშობს. იტალიელებიც „თითქმის შინ“ თამაშობენ. ეს იმის ნიშნავს, რომ არგენტინაში ბევრი იტალიელი ცხოვრობს და ბუნებრივია, თავიანთი ნაკრების თაყვანმოდებული გულშემატკივრები იქნებიან. ი, ჩვენ და უნგრელები კი მართლაც რომ არათანაბარ პირობებში ვიმოგზაურნდით...“

„ბაკოცანების გუნდი“

არგენტინელები მსოფლიო ჩემპიონატებში:

1930 — საფრანგეთთან 1:0, მექსიკასთან 6:3, ჩილესთან 3:1, აშშ-სთან 6:1, ურუგვაისთან (ფინალური მატჩი) 2:4.

1943 — შვეიცარიასთან 2:3.

1938 — 1954 — ფინალში არ მონაწილეობდნენ.

1958 — გფრ-სთან 1:3, ჩრდ.ირლანდიასთან 3:1, ჩეხოსლოვაკიასთან 6:6.

1962 — ბულგარეთთან 1:0, ინგლისთან 1:3, უნგრეთთან 0:0.

1966 — ესპანეთთან 2:1, შვეიცარიასთან 2:0, ინგლისთან 0:1.

1970 — ფინალში არ მონაწილეობდნენ.

1974 — პოლონეთთან 2:3, იტალიასთან 1:1, ჰაიტისთან 4:0, ჰოლანდიასთან 0:4, ბრაზილიასთან 1:2, გფრ-სთან 1:1.

არგენტინის ნაკრები იყო და რჩება „ბაკოცანების გუნდად“. თუ სამხრეთ ამერიკაში გამართული შეჯიბრებების ისტორიკოსებს ვეკითხებოდეთ, მისი შედეგები ერთიმეორეს შთამბეჭდავია. მართლაც ამ გუნდმა 12-ჯერ მოიგო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, ურუგვაელები — 11-ჯერ, ბრაზილიელებმა მხოლოდ — სამჯერ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ბრაზილიელები სამზის იყენებენ მსოფლიოს ჩემპიონები, ურუგვაელები ორზის, არგენტინელები კი ერთხელ დაეუფლნენ ვერცხლის medalsს. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, აქ არგენტინის ნაკრებმა ბევრი ვერაფერი აჩვენა. ცხადი იყო, რომ ასეთი თამაშიც არგენტინელებს საკუთარ მინდორზეც ძალიან გაუჭირდებოდათ.

როდესაც ახლანდელ მსოფლიოს პიროლობის წინ ნაკრებს სათავეში ახალგაზრდა სპეციალისტი სესარ ლუის მენოტი ჩაუდგა, უპირველეს ყოვლისა, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ დაუსვა მისი ურთიერთობის საკითხი საკლუბო გუნდებთან. ახლა მას მოთამაშეებს ვერავინ დაუჭერდა. მაგრამ მეორე მხრივ, ისე მოხდა, რომ არგენტინის უძლიერესი ფეხბურთელები ამ კლუბებში კი არ თამაშობდნენ, არამედ უცხოეთში. თვით მენოტის განცხადებით, უკანასკნელ 30 წლის მანძილზე უცხოეთში იმდენი არგენტინელი ოსტატი გადაბარგდა, რომ 15 ჩინებულ გუნდს შეადგენდა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამჟამად მარტო ერთ ქვეყანაში — ესპანეთში 55 (!) არგენტინელი თამაშობს, ისე რომ, მენოტი მეტად ძნელი პრობლემის წინაშე დადგა: მას საკუთარ კლუბთან კი არ უნდა მოუგვარებინა საქმე, არამედ უცხოელებთან და ამაში არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია ბეჭის ვერაფერს დაეხმარებოდა.

მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ მენოტიმ ძალზე ნაყოფიერად გამოიყენა 1977 წლის სეზონი. მან ბევრი ამხანაგური მატჩი მოაწყო და გასინჯა ნაკრების კანდიდატები. აი არგენტინელთა შედეგები ამ ამხანაგურ მატჩებში: ეგვიპტესთან 1:1, ბულგარეთთან 5:1, პოლონელებთან 3:1, გფრ-სთან 1:3, ინგლისთან 1:1, შოტლანდიასთან 1:1, საფრანგეთთან 0:0, იუგოსლავიასთან 1:0, გდრ-სთან 2:0, პარაგვაისთან 2:1 (ყველა მატჩი ბუენოს-აირესში). ერთი მატჩი პარაგვაელებთან (სტუმრად) არგენტინელებმა წააგეს 0:2.

ამ შესვენების შემდეგ მენოტიმ გამოაქვეყნა კიდევ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის ძირითადი კანდიდატების სია: მეკარეები — გატი (24 მატჩი ნაკრებში), ბალეი (4), ფილოლი (10), ჩეიასი (25); დაცვა — ტარანტინი (32), კილერი (14), პასარელა (16), გარასკოზა (27), ოლგუინი (27), ბალეგო (36), გალვანი (5), პიაცა (11); შუა ხაზი — არდილესი (2), ვილა (10), ვოლფი (33); თავდასხმა — კემპესი (22), ბერტონი (24), ჰოუსმანი (36), ლუკე (20), ორტიზი (5).

მას შემდეგ, რაც ევროპაში იმოგზაურა და იქაური კლუბების მესვეურებს შეხვდა, მენოტი დარწმუნდა, რომ ისინი ფეხბურთელებს არ ვაათავისუფლებდნენ. ამიტომ უამრავი „ემიგრანტიდან“ მან მხოლოდ სამი შეიყვანა ამ სიაში: მცველი პიაცა („სენტ-ეტიენი“), ნახევარმცველი ვოლფი (მადრიდის „რეალი“) და თავდამსხმელი კემპესი („ვალენსია“). აქ მენეტომ უკვე კატეგორიულად განაცხადა, რომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ეს 3 ოსტატი მსოფლიოს ჩემპიონატის წინ დროულად დაბრუნდეს სამშობლოში. არგენტინელებს, რა თქმა უნდა, საკმაო თანხის გადახდა მოუხდებათ მათი დროებითი განთავისუფლებისთვის.

რა შეიძლება ითქვას არგენტინის ახლანდელი ნაკრების წხადყოფნის შესახებ? არგენტინელებს ძალიან აღელვებთ მეკარის საკითხი. ძირითადმა მეკარემ გატმ შარშან მძიმე ტრავმა მიიღო და თვით მენოტის განცხადებით, ძალიან გაუჭირდება ფორმის აღდგენა. ამიტომ ახლა იგი იმედებს ფილოლზე ამყარებს, რომელიც ადრე ნაკრების კარს სიამედოდ იცავდა, მაგრამ შემდეგ უდისციპლინობის გამო გუნდის დატოვება მოუხდა.

თუ მიმომხილველებს დავუჯერებთ, დაცვაც საკმაოდ არასტაბილურია. იგი თამაშობს მკვეთრად, შეუპოვრად, მაგრამ მცველების ტექნიკური მომზადების დონე მაღალი არ არის. ტარანტინი, კილერი, ოლგუინი, გარასკოზა — დაცვის ძირითადი ოთხეული — ყოველ შემთხვევაში ოსტატობის დონით შუა ხაზსაც ჩამოუვარდება და თავდასხმასაც. ნახევარდაცვაში გამოირჩევა ენერგიული და შედეგიანი ვილა. მენოტი დიდ იმედებს ამყარებს ცენტრალურ თავდამსხმელ ბერტონიზე, რომელსაც ბევრი ბურთი გააქვს. ახლა მას მხარში უნდა ამოუდგეს კემპესი, რომელიც მსოფლიოს წინა ჩემპიონატზეც მონაწილეობდა. კემპესს შარშანდელ ამხანაგურ თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია.

ერთი სიტყვით სავსებით ცხადია, რომ არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობას უამრავი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მას მსოფლიოს უძლიერესი გუნდების ოთხეულში ასვამდრებს (ბრაზილია, გფრ-ს და ჰოლანდიის ნაკრებებთან ერთად), მაგრამ მეორენი კითხვას სვამენ — გადაჭარბებით ხომ არ აფასებენ მიმომხილველები საკუთარი მინდვრის ფაქტორს?!

დასამარდა თუ ქარ „კატენაჩიო“?

იტალიელები მსოფლიოს ჩემპიონატებში:

1934 — აშშ-სთან 7:1, ესპანეთთან 1:1, 2:1, ავსტრიასთან 1:0, ჩეხოსლოვაკიასთან (ფინალური მატჩი) 2:1.

1938 — ნორვეგიასთან 2:1, საფრანგეთთან 3:1, ბრაზილიასთან 2:1, უნგრეთთან 4:2 (ფინალური მატჩი).

1950 — შვეიცარიასთან 2:3, პარაგვაისთან 2:0.

1954 — შვეიცარიასთან 1:2, ბელგიასთან 4:1, ისევ შვეიცარიასთან 1:4.

1962 — გფრ-სთან 0:0, ჩილესთან 0:2, შვეიცარიასთან 3:0.

1966 — ჩილესთან 2:0, საბჭოთა კავშირთან 0:1, კორეის სასალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 0:1.

1970 — შვეიცარიასთან 1:0, ურუგვაისთან 0:0, ისრაელთან 0:0, მექსიკასთან 4:1, გფრ-სთან 4:3, ბრაზილიასთან 1:4 (ფინალური მატჩი).

1974 — ჰაიტისთან 4:1, არგენტინასთან 1:1, პოლონეთთან 0:2.

„მაცოლა-რივერას დიქტატურის ჟამი დამთავრდა“ — წერდნენ იტალიელი მიმომხილველები მას შემდეგ, რაც მწვრთნელ ვალკარეჯის გადადგომა მოუხდა. „კატენაჩიომ ფეხბურთის სამყაროს შეაძულა თავი“ — ასეთი იყო ვალკარეჯის შემცვლელ დუტტის ბერნარდინისა და ბეარცოტის განცხადება. ეს ორი სპეციალისტი ჯერ ერთად მუშაობდა, მაგრამ შემდეგ ბერნარდინი პირველ ნაკრებს გამოეშვიდობა და სადაზვეები ბეარცოტის ხელში აღმოჩნდა. ბეარცოტი ოდესღაც თვით თამაშობდა „სკუადრა აძურაში“, მაგრამ მწვრთნელის ასპარეზზე მეტ წარმატებებს მიაღწია. მან მიზნად დაისახა „კატენაჩიოს დასამარება“. თუ შესარჩევი თამაშების შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, იტალიის ნაკრების თამაში მართლაც უფრო შემტევი გახდა. გამოჩნდნენ ახალი, საინტერესო, შედეგიანი თავდამსხმელები.

როდესაც შესარჩევ თამაშებში ებმებოდა, ბეარცოტმა ნაკრები ერთი ქალაქის — ტურინის ფეხბურთელებისაგან შეადგინა. ამას ქქონდა კიდევ თავისი ლოგიკა — კარგა ხანია მილანი აღარ ვახლავთ იტალიური ფეხბურთის ცენტრი, იგი ახლა ტურინი გახდა. იტალიის ჩემპიონობა ხან „იუვენტუსს“ რჩება. და ხან „ტორინოს“. ამიტომაც იყო, რომ ბეარცოტმა ნაკრებში ამ ორი გუნდის მოთამაშეებს მოუხმო, სხვა ქალაქებიდან კი მხოლოდ ფაკეტი („ინტერი“) და ანტონიონი („ფიორენტინა“) მოიწვია.

მას შემდეგ, რაც იტალიელები ფინალში გავიდნენ, მწვრთნელმა გადაწყვიტა ნაკრების „გეოგრაფიის გაფართოება“. რა თქმა უნდა, მეკარე ძოფი არგენტინაში გაემგზავრება, მაგრამ ბეარცოტმა გამოაცხადა კონტიც („რომა“). ფაკეტი უკვე 35 წლისაა. მის ადგილზე რამდენჯერმე ითამაშა მონფრედინიმ („ლაციო“). იტალიის ჩემპიონატში დიდი ყურადღება მიიქცია ცენტრალურმა თავდამსხმელმა როსიმ (ვიჩენცის „ლანერროსი“). ისიც დაუყოვნებლივ შეიყვანეს ნაკრებში. ერთი სიტყვით ბეარცოტი ეძებს და ნახულობს კიდევ ტალანტებს. მას არ აშინებს ამხანაგური მატჩების შედეგები.

მას შემდეგ, რაც წილისყრის შედეგები გამოცხადდა, იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობილ ჟურნალისტ ბერერას მიმოხილვა. ბერერა იტალიის ჟურნალისტურ წრეებში ითვლება ფეხბურთის № 1 სპეციალისტად. აი, რა თქვა მან:

— ჩვენ მენდოსაში გვინდოდა თამაში. ამ ქალაქში, სადაც მეოთხე ჯგუფის მატჩებია დანიშნული, სტადიონზე თავს ისე ვიგრძნობდით, როგორც იტალიაში. აქ ხომ ძირითადად ჩვენი თანამემამულეები ცხოვრობენ. ასეთი შინაური ჯგუფის ნაცვლად წილისყრის შედეგად ახლა პირველში უნდა ვითამაშოთ. სამივე მატჩი მეტად ძნელი იქნება, მაგრამ არგენტინელებთან შესვედრა მაინც უმძიმესია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ არგენტინელებთან ერთად გავაგრძელებთ ბრძოლას.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დოქტორმა ფრანკიმ განაცხადა, რომ მართალია მისი გუნდი უმძიმეს ჯგუფში მოხვდა, მაგრამ იგი არ დარდობს. საქმე ის არის, რომ იტალიელები ძლიერებთან ტრადიციულად უკეთ თამაშობენ. ვიდრე სუსტებთან და აღარ უნდა გამეორდეს ინგლისში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის უდიდესი სენსაცია. მაშინ იტალიელებმა ხომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან წააგეს — 0:1.

საინტერესოა, რომ ბეარცოტი ჯერ არ აცხადებს თავისი ნაკრების თუნდაც გაფართოებულ შემადგენლობას. როგორც ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, მწვრთნელი უცდის უახლოესი ამხანაგური მატჩების შედეგებს, მათ კი იტალიელები ცვლებადი წარმატებით აბარებენ. ბელგიელებთან მოგებას (1:0), ესპანელებთან წაგება (1:2) და ფრანგებთან ფრე (2:2) მოჰყვა. „ზაფხულამდე დიდი დროა, — ამბობს მწვრთნელი, — მაგრამ ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ბრაზილიელები, არგენტინელები, გფრ-ის ფეხბურთელები და ჰოლანდიელები ამ ჩემპიონატის ამკარა ფავორიტები არიან, ჩვენ იტალიელებსაც შეიძიძლია ვთქვათ ჩვენი სიტყვა“. უკანასკნელი მატჩი ორანგეებთან იტალიელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ძოფი, ჯენტილე, მალდერა, ბენეტი, ბელუჯი, სკირეა, ჯ. სალა, ტარდელი, გრაციანი, ანტონიონი (ჰ. სალა) ბეტეგა (პუნიჩი).

გ. თოლორაია.

მსოფლიოს თასი

უცხოებს რჩეულებს

პირველი ჯგუფი: არგენტინა, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი

(დასასრული იქნება)

მეგობართა მონაწილეობით

ქარბი სპორტული ტრადიციებია დამკვიდრებული გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. ყოველ წელს, სტუდენტთა ზამთრის არდადეგებზე, ინსტიტუტის ნაკრები გუნდები ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებთან სპორტის სხვადასხვა სახეობაში. გორელი სტუდენტები ბევრჯერ შეხვედრიან მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობისა და ხარკოვის პედაგოგიური, რიგის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ინსტიტუტების სპორტულ კოლექტივებს. წელსაც, ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისა და შეგობრობის განმტკიცების მიზნით, არდადეგებზე გორში მოიწვიეს მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის ბაქოს პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა გუნდი. ეს მეგობართა რიგით მესამე შეხვედრა იყო. გორელ და აზერბაიჯანელ კოლეგებს ოთხი წლის მრავალმხრივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ. ფრენბურთელთა ტურნირს სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდებიც ესტუმრნენ. შეჯიბრება საინტერესოდ და მიმზიდველად ჩატარდა. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და გამარჯვებულიც გამოვიდნენ.

მომავალ შეჯიბრებას მეგობრები საბჭოთა კონსტიტუციის მიღების წლისთავზე ბაქოში გამართავენ.

გ. ხაჩიძე,
გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.



შვედი სამთომოთხილამურე ი. სტენმარკი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. მან შარშან და შარშანწინ ზედიზედ მოიპოვა მსოფლიო თასი და წლევანდელ გათამაშებას დიდი უპირატესობით ლიდერობს, ახლახანს კი გარმიშ-პარტენკირჰინის მიდამოებში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიგო.

სურათზე: ი. სტენმარკი ასპარეზობის დროს.

სუვენირები ოლიმპიადისთვის

ოლიმპიური სიმბოლოიანი ნაკეთობის შერჩევისა და გამომშვების სპეციალურმა საუწყებათაშორისო კომისიამ 103-ე სხდომა მოიწვია საორგანიზაციო კომიტეტში. ოლიმპიური თამაშების თემატიკის ნაწარმის დამზადების უფლების დიპლომი მიიღეს იალტის სუვენირების გამომშვებმა საწარმოო გაერთიანება „ტავრიამ“, კრასნოდარის პარფიუმერიის ფაბრიკამ და სხვ.

საკდესის კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ოლიმპიადის სიმბოლოიანი სუვენირების პირველი დიდი პარტია მოსკოვში გაგზავნა როვენსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უკრაინის კომკავშირის სახელობის სელის კომბინატმა.

კუბის გზებზე

ჰავანა. კუბიშეველმა სერგეი სუხორუჩენკომ გაიმარჯვა კუბის საერთაშორისო ველორბოლის მეორე ეტაპზე. მთიან გზებზე 26 კმ-ის დაფარვას მან 1:15.25 მოანდომა და საერთო I ადგილზე გავიდა — 5:20.05.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ ტრასის მასპინძლები — კუბელი

... ჩემპიონატი

[illegible] 14:06.40. [illegible] თა ნაკრები მათ 28 წამით ჩამ[illegible] ჩება.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან: ა. პიკუუსი (ტარტუ), ს. ჰუსეინოვი (კუბიშევი), ვ. [illegible] ვალოვი (ალმა-ათა), ვ. ოსოკინი (ლენინგრადი), თ. კისლიაკი (მინსკი). (საკდესი).

ᲨᲐᲨᲘ

თბილისის ჩემპიონატები

ჭადრაკის სასახლეში სტარტი აიღო დედაქალაქის ვაჟთა ჩემპიონატებმა საერთაშორისო და რუსულ შაშში.

რუსული შაშის ტურნირში 17 ვაჟი და ერთი გოგონა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი ნ. ფაილოძე — ჩაება.

5 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა, ოსტატი ა. ბერუაშვილი — 5 ქულა. 4,5-4,5 ქულა აქვთ უნივერსიტეტის სტუდენტს ნ. ქერდიყოშვილს და [illegible] ჯონიკიძის რაიონის „პროდუქტების“ მუშაკს გ. ბაღაშვილს — 3,5-3[illegible]

საერთაშორისო შაშის ჩემპიონატ[illegible] 16 კაცი მონაწილეობს. აქაც 5 ტ[illegible] რია გათამაშებული.

ლიდერობა ხელთ იგდო „კავკა[illegible] ტრანსის“ ინჟინერმა ვ. ბახტა[illegible] (4,5), რომელსაც მხოლოდ ნახევ[illegible] ქულით ჩამორჩებიან ვ. ბნიტეცკი ([illegible] ბჭოთა არმია), სატყეო ინსტიტუტ[illegible] ეფროსი ინჟინერი ვ. კანდელაკი [illegible] პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუ[illegible] ნტი რ. ჩერქეზია — 4-4.

ს. ველთაური.

ჩემპიონატების მთავარი მსაჯ[illegible] რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲘ

ამ ბოლო დროს მძლეოსნები მაღალ შედეგებს აღწევენ დარბაზებში ასპარეზობისას. ბევრი მიღწევა ცოტათი თუ ჩამორჩება ზაფხულში დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდებს. ოდესღაც ზაფხულის სპორტის სახეობად ცნობილმა მძლეოსნობამ დიდი ხანია „მოქალაქეობრივი უფლება“ მოიპოვა დახურულ დარბაზში შეჯიბრებებს შორის.

აქ სპორტსმენს ხელს არ უშლის არც ქარი, არც წვიმა და არც ბუნების სხვა კაპრიზები.

წლევანდელი ზამთარი განსაკუთრებით „მოსავლიანი“ სიმაღლეზე მსტმოელთათვის გამოდგა. იანვარში მსოფლიო მიღწევა დარბაზებისთვის ერთბაშად 2 სმ-ით გაიზარდა და საბჭოთა ათლეტის ვ. იაშჩენკოს ზაფხულის რეკორდს (233 სმ) მხოლოდ ერთი სანტიმეტრით ჩამორჩება. პირველად რეკორდს დაუპატრონა მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი 21 წლის კანადელი გ. ჯოი (231), მაგრამ მალე ჯოის წოდებას მიემატა არცთუ სასიამოვნო წინდებული — „ექს“. 20 წლის ზანგმა ათლეტმა ფ. ჯეკობსმა, რომელიც ორი კვირის წინათ 2 სმ-ით ჩამორჩა კანადელს, ამჯერად შეძლო 1 სმ-ით გაეუმჯობესებინა ჯოის მიღწევა.

ჯეკობსს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ახალბედა. მისი მძლეოსნური სტაჟი ხომ ორ წელსაც არ შეადგენს. 18 წლის საშუალო ტანის სწრაფი ჭაბუკი (სიმაღლე 173 სმ, წონა — 66 კგ) სკოლის სპორტულ დარბაზში შეყოვნდა, რათა დაემუშავებინა საკალათბურთო ფინტი, რომელიც მას მოეწონა. სწორედ ამ დროს შეამჩნია იგი მძლეოსნობის მწვრთნელმა. თამასის გადალახვის პირველმა ცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა. ფრანკლინმა 185 სმ სიმაღლე დაძლია. და თუმცა სკოლაში სერიოზულად არავინ ავარჯიშებდა ამ ნიჭიერ ჭაბუკს, მან სეზონი კარგი შედეგით (203 სმ) დამთავრა.

ერთი წლის შემდეგ იგი შედის კოლეჯში, რათა გახდეს წარმოების მართვის დარგის სპეციალისტი. ერთდროულად ვარჯიშიც დაიწყო. სპეციალისტებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ტანმორჩილ, მაგრამ საოცრად მოხტუნავე ჭაბუკს ყველაზე მეტად მოდური სტილი — ფოსბიური მოუხდება, რომელსაც სპორტსმენი თავისებურად ფლობს. მისი ხტომის ტრაექტორია თამასაზე ისეთნაირია, რომ დაშვებისას ხშირად ორმოს კიდეზე ხტება, ან საერთოდ მის საზღვრებს იქით.

მაგრამ ბევრს როდი სჯეროდა, რომ ეს ახალბედა შეძლებდა გამოცდილ ოსტატებთან მეტოქეობას, მონაწილეთა, მაყურებელთა და თვით ჯეკობსის გასაკვირად, აშშ-ის სტუდენტთა ჩემპიონატში იგი 226 სმ-ზე გადახტა, 2 სმ-ით ჩამორჩა გამარჯვებულს და II ადგილზე გავიდა. ერთი კვირის შემდეგ მას უფრო სერიოზულ მეტოქეებთან (როგორიცაა მსოფლიო რეკორდის არაერთგზის მფლობელი დუაიტ სტოუნზი და გრეგორი ჯოი) მოუწია ასპარეზობამ. სტოუნზი უძლიერესი გამოდგა (229 სმ), ჯეკობსმა 227 სმ-ზე გადებული თამასა გადალახა.

ახალი სეზონი ფრანკლინმა არაჩვეულებრივად ადრე დაიწყო. იგი 13 იანვარს გამოვიდა კოლეჯ პარკში და 228 სმ-ზე გადახტა, რითაც ძალიან უკმაყოფილო დარჩა.

27 იანვარს, ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარდენში თავი მოიყარა მძლეოსნური შეჯიბრებისთვის სპორტის მოყვარულთა არნახულმა რაოდენობამ (18 ათასი). ბევრი, თანამემამულის ფრანკლინის ასპარეზობის საცქერლად მეზობელი შტატიდან — ნიუ ჯერსიდან ჩამოვიდა. სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში ერთმანეთს შეხვდნენ დირსეული მეტოქეები — ყველაზე ტიტულიანი სტოუნზი, ზამთრის რეკორდის მფლობელი ჯოი და ჯეკობსი.

„მთავარი პრობლემა იყო სწორად და ეფექტურად გამეკეთებინა არეკნი. იმ საღამოს ეს მე კარგად გამომივიდა. უნდა გამოვტყდე, მეშინოდა სტოუნზის, განსაკუთრებით, როდესაც ჩემი სარეკორდო ცდის შემდეგ, მანაც დაუმიზნა რეკორდს“, — თქვა ფრანკლინმა შეჯიბრების შემდეგ.

ჯეკობსის მიღწევამ მარტო აღტაცებას როდი იწვევს (იგი ხომ თავის სიმაღლეზე 59 სმ-ით მეტი გადახტა, რაც თავისებურ მსოფლიო რეკორდს წარმოადგენს), არამედ მიუთითებს ათლეტის უდიდეს პოტენციურ შესაძლებლობაზე, რომელმაც წელინახევრის განმავლობაში შეძლო ასეთი სიმაღლის გადალახვა.

ჯეკობსის მიღწევის ჩრდილის მიუყენებლად მინდა აღვნიშნო, აშშ-ში მძლეოსანთა ზამთრის ასპარეზობების ერთი თავისებურება: როგორც წესი, ხტომელები აქ ასპარეზობენ ხის დრეკად საფრანგინ სარბიელზე, რომელიც სპორტსმენთათვის თავისებურ ტრამპლინს წარმოადგენს და ხელს უწყობს რეკორდული შედეგების ჩვენებას.

ტ. კოზლოვა.
(საკდესი).

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲡ

ნიუ იორკი. მსოფლიოს ბოქსიორი ჩემპიონი მუჰამედ ალი, რომელსაც ხურდა მეოცედ დაეცვა თავი ტიტული, დამარცხდა 1976 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ლეონ სპინკსთან ორთაბრძოლაში. სამი [illegible] ბიტრიდან ორმა აღნიშნა, რომ [illegible] რაუნდიან შეხვედრაში ახალგაზრდა [illegible] პრეტენდენტმა მეტი ქულა მოაგროვ[illegible] 24 წლის სპინკსისთვის ეს იყო [illegible] შვიდი შეხვედრა პროფესიულ რინგ[illegible] 36 წლის ალიმ კი 56-ე ორთაბრძ[illegible] ლა ჩაატარა.

მატჩის ბედი ბოლო 5 რაუნდში [illegible] დაწყდა, როცა სპინკსმა უკეთესი [illegible] ძლეობის წყალობით მეტოქეს სწრ[illegible] ტემპი მოახვია თავს და დიდი რ[illegible] დენობით მიაყენა ზუსტი დარტყმ[illegible] ამას გარდა, ბოლო 30 წამში ლ[illegible] მა იმდენად აჯობა ალის, რომ კინაღ[illegible] ბრძოლა სანოკაუტო დარტყმით დ[illegible] თავრა.

აღსანიშნავია, რომ ტოტალიზატ[illegible] რის მახსინძლებმა უარი თქვეს ფსონ[illegible] მიეღოთ ამ ბრძოლის შედეგზე, რაგ[illegible] განეონათ, რომ ალი ამჯერადაც [illegible] ლად მოიგებდა.

ქვემძიმე წონაში 1960 წლის ოლ[illegible] პიურმა ჩემპიონმა ალიმ პროფესიონ[illegible] ლთა შორის „პირველი ხელთათმანი[illegible] ტიტული 1964 წლის თებერვალ[illegible] სონი ლისტონთან გამარჯვებით მ[illegible] პოვა. შემდეგ 1967 წელს, ვიეტნამ[illegible] საომრად წასვლაზე უარის თქმის [illegible] მო, მას ჩამოართვეს მსოფლიო ჩ[illegible] პიონის წოდება და აუკრძალეს რ[illegible] გზე გამოსვლა. 1974 წლის ოქტ[illegible] ბერში ალიმ მოუგო ჯორჯ ფორ[illegible] და კვლავ დაიბრუნა ეს წოდება. [illegible] შემდეგ ალიმ 10 ბრძოლა ჩატ[illegible] და ათჯერვე წარმატებით დაც[illegible] „ბვირგვინი“. (საკდესი).

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

ჯო ფრეზიერი ბრუნდება

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჯო ფრეზიერმა, რომელმაც ორი წელიწინ მიატოვა რინგი, განაცხადა, რომ კვლავ უბრუნდება კრიგს. რატომ, რამ აიძულა იგი გადაეწყვიტა ასეთი ნაბიჯი? ჟურნალისტების ამ კითხვას ფრეზიერმა ხუმრობით უპასუხა:

— უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩემი შვილი მერვისი, რომელიც 17 წლისაა, აშშ-ის უძლიერეს მოყვარულ მოკრივეთა მორის შესამჩნევი ფიგურა გახდა. ამიტომ ის მაინც უნდა დავაჯერო, რომ ჩემს ოჯახში პირველი მოკრივის სახელს ვინარჩუნებ.

კინემატოგრაფსა და სპორტს შორის

კამათი იმის თაობაზე, თუ ვინ არის ჩვენი პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელი პროფესიონალთა შორის, უმთავრესად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კორტებზე წარმოებს. უიმბლდონი, დევისის თასი, აშშ-ს და იტალიის ღია ჩემპიონატები, აგრეთვე, „როლან გარო“ — ეს უმთავრესად ეტაპებია, რომელთა გაელა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტულის მაძიებელი სპორტსმენისთვის აუცილებელია.

თავის დროზე ყველა ეს ეტაპები აქვთ გავლილი ჯიმი კონორსს, არტურ აშს, ილიე ნასტასეს, ბიორნ ბორგსა და სხვებს, რომლებიც ფლობდნენ მსოფლიოს № 1 ჩოგნის სახელს. მაგრამ წლეულს, ამ კაბალური აუცილებლობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა შვედმა ბიორნ ბორგმა. აი რა განაცხადა მან სტოკჰოლმში ჟურნალისტებთან საუბრის დროს: „პირდაპირ გასაკვირია, რატომ ვართ ასე დაჩაგრული ჩოგბურთელები? სპორტის სხვა სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონის გამოსაკვლენად საჭიროა ერთი ტურნირის მოგება, მოკრივეები კი ასე განსაჯეთ, მხოლოდ ერთ მატჩში არკვევენ უპირატესობას. აი ჩვენ, იმისათვის, რომ სეზონის მიწურულში გავარკვიოთ ვინ არის უძლიერესი, მთელი წლის მანძილზე ქალაქიდან ქალაქში უნდა ვიხეტიალოთ“.

ბორგმა ბევრი მაგალითი მოიყვანა იმისა, თუ რამდენად ძნელია წლის განმავლობაში თამაში, თან ისე, რომ არც ერთ ქალაქში არც ერთ ტურნირს არ დააკლდე. მართლაც ხომ შესაძლებელია უძლიერესის ტიტულის პრეტენდენტი ან ავად გახდეს, ან ოჯახური მიზეზით გამოაკლდეს საერთაშორისო კავშირის კლასიფიკაციაში შეტანილ რომელიმე ასპარეზობას? და თუ ეს მოხდა, ჩოგბურთელი ერთი წლით მაინც უნდა გამოეთხოვოს სანუკვარ მიზანს.

წლის საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტული მხოლოდ სიმბოლური წოდება რომ იყოს, მას ასე თუ ისე კიდევ შეელეოდნენ სპორტსმენები. მაგრამ გამარჯვებული კანდიდატი სპეციალურ მოწმობასთან ერთად ფულად პრემიასაც იღებს, ეს კი ძნელი დასათმობია ჩოგბურთელისთვის, რომელმაც კარგა ხანია უღალატა სამოყვარულო სტატუტს და პროფესიონალებში გადავიდა.

და მაინც პროფესიონალი რის პროფესიონალია, თუ ვერ მონახა გამოსავალი მდგომარეობიდან. ბორგმა, მაგალითად, როგორც კი მიიღო სტრასბურგის სპორტული საქონლის ფირმისგან საჩუქრად „ოქროს ჩოგანი“, ჟურნალისტებს გაანდო, რომ უკვე მტკიცე კონტაქტი დაამყარა თავისი ქვეყნის კინემატოგრაფისტებთან. შვედმა ჩოგბურთელმა ითამაშა პატარა როლი ფილმში, სადაც აღწერილია ჩოგბურთის ხნიერი მასწავლებლის მძიმე ცხოვრება. აი, სწორედ ამ ხნიერი ჩოგბურთელის როლს ასრულებს ბიორნ ბორგი. ფილმი მისავე განცხადებით ევროპისა და ამერიკის ეკრანებზე წლეულს გაზაფხულზე გამოვა.

გამოჩენილი სპორტსმენის დებიუტმა დააინტერესა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინემატოგრაფისტები. ბორგმა რამდენიმე წინადადება მიიღო ევროპაში, მოლაპარაკებას აწარმოებენ მასთან ჰოლივუდის პროდიუსერები. ბორგს ასეთი პერსპექტივა ხიბლავს, პირველ ყოვლისა ფინანსიური თვალსაზრისით. მაგრამ, — განაცხადა მან, — ეს მე უფლებას არ მაძლევს თავი მივანებო სპორტს, ვინაიდან, როგორც კი გაქრება ჩემი სახელი კორტებიდან, რეჟისორები დაკარგავენ ყოველგვარ ინტერესს ყოფილი ვარსკვლავისადმი. მე ეკრანს ვეჩვევი მანამ, სანამ ბორგი ვარ — მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი.

ამიტომ ბორგმა ახლავე შეიტანა თავისი თავი უიმბლდონისა და აშშ-ს ღია ჩემპიონატის მონაწილეთა სიაში. იგი არც დევისის თასს გათამაშებაზე ამბობს უარს, ვინაიდან ეს პირველ ყოვლისა სჭირდება მის ქვეყანას, რომელთანაც კონფლიქტში ყოფნა წინდახედული სპორტსმენის გეგმებში არ შედის. მაგრამ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელის ტიტულის მაძიებელი იგი აღარ იქნება, ცხადია, ამის გამო არ მიიღებს არც ფულად პრემიას, თუმცა ეს ნაკლებად აწუხებს ბორგს. იგი თვლის რომ კინემატოგრაფი, რომელსაც უკავშირებს თავის მეორე ცხოვრებას ერთი ორად, თუ მეტით არა, ანაზღაურებს ამ დანაკარგს.

რედაქტორი
ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კანონიერებისა. რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეიზურთის — 89-81-71, 93-97-59; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის ინფორმაციის — 93-97-57; ეთნოგრაფიის და ოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქალაქის — 93-97-28; ნაბეჭდავი — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მენანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЭ 01971